# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 150 ხუთშაბათი, 9 ივლისი 1909 წ. № 150

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —

— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

კნეინა ანნა და კნიაჟნა ელისაბედ ნოდარის ასულნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასეს ძმის

კონსტანტინე ნოდარის ძის ციციშვილისას.

პანაშვიდები დილით 9 ს. და სალამოთი 7 ს. გვამის გამოსვენება და დაკრძალვა შაბათს, 11 მკათათვეს, საკუთარ სახლიდან ს. ქარელის მღვთის შობლის მიძინების ეკლესიაში. (1—332—1)

## სააფხულო თეატრი და ბაღი თავ.-აზნაურობისა

## რესტორანი ამხ—ბა „იუჟანესი"

ყველაზე უფრო გრილი ადგილი ქალაქში არის „უზარმაზარ კაკლებს ქვეშ". განსაკუთრებული პავილიონი, დიდი აუზები და შადრევანები.

შეიძლება დაკვეთა სადილებისა და პიკნიკებისა. 2-დან 4 საათამდე და 9-დან 2 საათამდე უკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის მესამის ლოტბარობით. სადილები ორი კერძისაგან—60 კაპ., სამი კერძისაგან—80 კაპ., 4 კერძისაგან—1 მან. ფასები ზომიერია.

ბაღში შესვლა უფასოა. (4—0—1)

თეატრი ელექტრო-ბიოგრაფი

## მ უ ზ ა

მიხეილის პროსპ. N 163, ბაქოს ქუჩის კუთხე, ობსერვატორიის პირდაპირ.

დღეს, ახალი პროგრამა სურათებისა:

1. ამერიკული ზუავები;
2. დოლი ირლანდიაში;
3. ზარბაზნების ჭექა-ქუხილზე;
4. ფოსტალიონის ქალი;
5. პოეტი? მანია;
6. ზნეობრივი პედაგოგი;
7. ნიმუში სიმშვენიერისა;

სურათებს უჩვენებენ საზაფხულო ბაღში ცის ქვეშ. ბაღი მშვენივრად არის გაჩირაღდნებული. ბაღში უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი.

დირექცია აცხადებს, რომ თავიდან აცილებულ იქნა ზოგიერთი ნაკლულევანება, რომელსაც „მ უ ზ ა ს" გახსნის დღესა ჰქონდა ადგილი. (1—გაჟ.—4)

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ განთავისუფლდა

## ორი სტიპენდია

ძმ. ზუბალაშვილებისა.

სტიპენდია მიეცემა უპროცენტო სესხად რუსეთისა და საზღვარ-გარეთის დაბალს და საშუალო სპეციალსა და მაღალს სასწავლებელში მოსწავლე ღარიბ ქართველს, უფრო კი რუსეთის დაბალ, საშუალო და მაღალს სპეციალს სასწავლებელში მოსწავლეს ან ამგვარსავე ახლად შემსვლელს,—განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები სტიპენდიისათვის უნდა გამოიგზავნოს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე ტფილისში (Тифлисъ. Общество грамотности) არა უგვიანეს ამა ივლისის 31-ისა.

თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: 1) სასწავლებელი (და მისი ფაკულტეტიც და სპეციალი განყოფილება), რომელშიაც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი ან კურსი, რომელზედაც იგი არის; 2) სასწავლებელი, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა და ის სასწავლებელი და მისი ფაკულტეტებიც ან სპეციალი განყოფილება, რომელშიაც შესვლას აპირებს, და 3) ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა მთხოვნელისა.

თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, 2) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც მთხოვნელს მოსამზადებელი სწავლა მიუღია, თუ იგი ახლა შედის დაბალს და საშუალო სპეციალს სასწავლებელში ან მაღალს სასწავლებელში. (3—2)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—121)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცხვი მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭჭის) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—ავ.—6)

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი (ყოფილი თანაშემწე ლ. შტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—5)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—189)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო ხაზინადარების პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჭანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.) (24—310—7)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—103)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ, კან. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსლავსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ახპისოვი— ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—61)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა. საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 106)

**ექიმი** ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუხოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—6)

## ტფილისი, 9 ივლისი

გუშინ წინ ჩვენ აღვნიშნეთ, რა პირობებში ხდება ახლანდელი ბჭობა საერობო რეფორმაზე ჩვენში და შევნიშნეთ, სხვათა შორის, რომ, მიუხედავად თანამედროვე დუხჭირ პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ წინდაწინვე ვიცით, რის ბოძება შეუძლიან ახლანდელ მთავრობასა და მესამე სათათბიროს, საზოგადოება მაინც მოვალეა პასუხი გასცეს მთავრობას, ამცნოს მას, როგორი ერობა მიაჩნია სასურველად და სასარგებლოდ...

როგორ პასუხს მისცემს საზოგადოება მთავრობის შეკითხვაზე, ამაზე ჩვენ არაფერი გვითქვამს და ჯერ ნაადრევიც არის ამის წინასწარმეტყველება, მაგრამ საკითხი ძალა-უნებურად იბადება და თავის თავად ძლიერ საინტერესოა.

ზოგ საზოგადოებრივ დაწესებულებაში უკვე დაიწყეს კამათი ერობაზე. ჯერ საქმე, როგორც ახლად დაწყებული, საზოგადო ფრაზებს არ გასცილებია, ჯერ რეფორმის საფუძვლებსა და, მით უმეტეს, დეტალებს არ შეჰხებიან, მაგრამ ეხლავ ცხადად ეტყობა, რომ მომავალ მუშაობაში ორ მიმართულებას ანუ, უკეთ ვთქვათ ორ მიდრეკილებას ექნება ადგილი. ამ ორმა მიმართულებამ პირველ წალაპარაკებისთანავე იჩინა თავი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კერძო კრებაზედაც, თავად-აზნაურობის მიერ გამართულს თათბირზედაც.

ერთი ნაწილი მოკამათეთა დაბეჯითებით ათითებს თანამედროვე **რეალურ** პირობებს და რაც შეიძლება ავიწროებს საკითხს. ჩვენს დროში გატაცებას, საკითხის გაფართოვებას, იდეალურ რეფორმების მოთხოვნას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან პოლიტიკური პირობები ხელშემწყობნი არ არიანო. რაც უფრო მეტად დავშორდებით თანამედროვე რეალურ პირობებს, მით უფრო შეუძლებლად გავხდით რეფორმის განხორციელებასაო; პირიქით, რაც უფრო მცირე იქნება ჩვენი მოთხოვნა, მით უფრო მალე და ადვილად განხორციელდება ერობის შემოღების საქმეო. ეს ჩვენი „რეალისტები" იმდენად გაიტაცა ოპორტუნიზმმა, ხომ თვით ადგილობრივ მმართველობასაც აჭარბებენ საკითხის შევიწროებაში! Plus royaliste, que le roi même. მაშინ როდესაც კავკასიის ნამესტნიკი თავის ცირკულიარით პირდაპირ ამბობს საკითხის გაფართოვებაზე და რადიკალურს რეფორმაზე როცა მას განუზრახავს მცირე საერობო ერთეული, უწოდებრივო დაბალი საერობო ერთეული, ცენზის შემცირება სხვა საერობო ერთეულებში, სოლქო საერობო დაწესებულება მთელ ამიერ-კავკასიისთვის და სხვა, ჩვენი „რეალისტები" ყველა ამას საშიშ ფანტაზიებად სთვლიან და უთუოდ 1890 წლის საერობო დებულებისაკენ ეწევიან საზოგადოებას: აქას იქით ხსნა არ არისო. ასეთი დაჟინებითი ხაზგასმა „რეალურ პოლიტიკისათვის" ძალა-უნებურად აფიქრებინებს ადამიანს, რომ „თანამედროვე რეაქციონური პოლიტიკური პირობები ჩვენის ქვეყნისა და დროის „რეალისტებს" მხოლოდ ხელზე დასახვევ საბაბად გაუხდით; ნამდვილად კი ებლაუჭებიან იმ ტიპის ერობას, რომელიც მათ წოდებრივისა და კლასობრივ ინტერესებისთვის უფრო ხელსაყრელია და გამოსადეგი...

მეორე ნაწილი მოკამათეთა წინააღმდეგია საკითხის ასეთის შევიწროებისა. ისინი ამბობენ, რომ ამას თვით მთავრობა მოიმოქმედებს, თვით მთავრობა და შემდეგ სათათბირო შეაკვეცენ ფრთებს რეფორმასაო, ხოლო საზოგადოება მოვალეა სავსებით და სრულად გამოამჟღავნოს თავისი სურვილ-განზრახვაო. ამის მიხედვით, ესენი საჭიროდ სცნობენ შიდა რუსეთში აწ არსებულის საერობო დებულების უარყოფას და უფრო დემოკრატიულის ტიპის ერობის პროექტის შემუშავებას. ზოგმა ამ ორატორთაგანმა კიდეც განმარტა გაკვრით, რა პრინციპებზე უნდა აშენდეს საზოგადოების პროექტი და ფრიად საინტერესო ისაა, რომ ეს „იდეალისტებიც" ვერ ასცდენიან თანამედროვე შავ-ბნელ რეაქციის გავლენას და როცა საზოგადო ფრაზებიდან სახელმძღვანელო პრინციპების აღნიშვნაზე გადადიან, თვითონაც დიდ მსხვერპლს სწირავენ ოპორტუნიზმის ტაძარს. მაგალითად, ქონებრივი ცენზი „ძალა-უნებურად" უნდა შევიტანოთ პროექტშიო, სოლქო საერობო ერთეულზე ლაპარაკი ტყუილი ოცნება იქნებაო და სხვა. ჩვენი პროგრესისტების და „იდეალისტების" საერობო გეგმა, როგორცა სჩანს, კადეტების საერობო განზრახვებსაც უკან ჩამორჩება და თუ ამ გზით იარეს, მათი გადაბირება თავის მხარეზე „რეაქციონერებს" სრულებითაც არ გაუჭირდებათ.

ყოველ შემთხვევაში, პროგრესისტები რომ კიდევაც მტკიცედ დარჩნენ თავიანთ პოზიციებზე და „რეალისტებს" რომ არ გაჰყვნენ, საზოგადოების დღევანდელი პასუხი მთავრობის შეკითხვაზე მაინც არ იქნება სრული გამომხატველი ფართო დემოკრატიულ ელემენტების სურვილებისა და ხალხის საჭიროებათა დამაკმაყოფილებელიც ვერ გახდება. ვისაც ხალხისა და ფართო საზოგადოების ნამდვილ პასუხის გაგება ჰსურს, მან ხალხსა და ფართო საზოგადოებას უნდა მიჰმართოს და არა წოდებრივსა და ორიოდე საზოგადოებრივს დაწესებულებას.

## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივლისი

**თეირანი.** საჩქაროდ დაიბარეს ზილლი-სალტანე.

სილახორიის ორმა პოლკმა ზერგენდს და ბესტს შეაფარა თავი. მათ რევოლიუციონერებისა ეშინოდათ.

**ვენა.** დიპლომატიური წრეები ირწმუნებიან, პარლამენტი სპარსეთის რეგენტად, ეხლანდელ რეგენტის მაგივრად ზილი-სალტანეს დანიშნავსო. ზილი-სალტანე გადაყენებულ შაჰის ბიძაა.

**თეირანი.** ამბობენ, ახალ სამინისტროში შემდეგი პირები დაინიშნებიან: მინისტრ-პრეზიდენტად და ფინანსთა მინისტრად—ნასრულმულკი, სამხედრო—სეპეხდარი, შინაგან-საქმეთა—სერდარ ასადი, გარეშე საქმეთა—ალა-ეს-სალტანე, იუსტიციის—კიშმეტ-დოულე, ფოსტა-ტელეგრაფის—სერდარ მანსური, პოლიციის უფროსად—ეფრემა.

**ბერლინი.** ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობა სპარსეთის კრიზისს გათავებულად სთვლისო. ამის ნიშნად იმას ასახელებენ, რომ რუსეთის მთავრობას უკვე ოფიციალური დამოკიდებულება აქვს სპარსეთის ახალ მთავრობასთანო. აქ იმედი აქვთ, რომ სპარსეთში არეულობა აღარ მოხდება.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. რუტეფორდი გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის შეეკითხა: რადგან სპარსეთის რევოლიუციონერები რიგიანად იქცევიან, ინგლისის მთავრობას აზრად ხომ არა აქვს, წინადადება მისცეს რუსეთს რომ თეირანში ჯარი აღარ გაგზავნოსო. გრეიმ ამაზე, სხვათა შორის, სთქვა: რუსეთის მთავრობამ წინდაწინვე განაცხადა, თუ რა პირობით ჰგზავნის თეირანში ჯარს და თუ მივიღებთ მხედველობაში იმას რომ რუსეთმა თეირანში თავისი ჯარი არეულობის დროსაც არ გაჰგზავნა, თუმცა შიში კი იყო რუსეთის ქვეშევრდომთა განსაცდელისა, უადგილოდ უნდა ჩაითვალოს ამ გვარი წინადადება. ტორნის შეკითხვაზე, ინგლისის მთავრობა რუსეთისას ხომ არა შველის რევოლიუციის ჩაქრობაშიო, გრეიმ სთქვა, ტყუილია ის ხმა, ვითომ ან რუსეთს ან ინგლისს სპარსეთის რევოლიუციის ჩასაქრობად რაიმე ზომები მიეღოთო.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბრძოლა კონსტიტუციისთვის სპარსეთში.**

3 ივლისი ისეთივე დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული დღე იქნება სპარსეთისთვის, როგორც 11 ივლისია ოსმალეთისთვის. 3 ივლისს სპარსელ კონსტიტუციონალისტების ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლა დაგვირგვინდა ბრწყინვალე გამარჯვებით...

თუმცა ეს ბრძოლა თქვენ თვალწინ დაიწყო, მაინც ურიგო არ იქნება, მოკლედ გავიხსენოთ მისი ისტორია.

კონსტიტუციონური მოძრაობა სპარსეთში დაიწყო 1905 წლის გასულს რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ და რუსეთის რევოლიუციის დროს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ორ ისტორიულ ამბავს დიდი გავლენა ჰქონდა სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მაშინდელი შაჰი მუზაფერ-ედინი დაჰპირდა ხალხს კონსტიტუციას, მაგრამ სხვა და სხვა საბუთით აგვიანებდა მის გამოცხადებას. თეირანში დაიწყო აჯანყება, დაიკეტა ბაზრები, შაჰი შეშინდა... და 1906 წელს 6 აგვისტოს მთავრობის გაზ. „ირან"-ში დაიბეჭდა სპარსეთის კონსტიტუციის ხარტია. პირველი მეჯლისი (მეჯლისი ჰნიშნავს—„სიმართლის სახლს") შეიკრიბა იმავე წლის 24 სექტემბერს, ხოლო იმავე 1906 წლის 18 დეკემბერს შაჰმა დაამტკიცა მეჯლისის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია.

ათიოდე დღის შემდეგ, 27 დეკემბერს, მუზაფერ-ედინ-შაჰი გარდაიცვალა და ირანის ტახტზე ავიდა მისი შვილი მამედ-ალი, დიდი მტერი კონსტიტუციისა. პირველ ხანებში იგი ვერა ჰბედავდა მეჯლისთან ბრძოლას, მაგრამ 1907 წლის ოქტომბერში ხალხის წარმომადგენ-

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—12)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—16)

## ჭიათურის ქალთა პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღებიან მოსწავლენი 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. (4—ფ.—3)

ლებმა შაჰს თითქმის ერთი ხუთად შეუმცირეს ჯამაგირი და წელიწადში მხოლოდ $2\frac{1}{2}$ მილიონი ფრანკი დაუნიშნეს. ეს-კი ველარ მოითმინა შაჰმა და იგი მრისხანედ დაემუქრა მეჯლისს, მაგრამ მეჯლისი არ შეუშინდა მის მუქარას და შაჰი ძულებული იყო დროებით დამორჩილებოდა მეჯლისის დადგენილებას. კონსტიტუციისადმი ერთგულების დასამტკიცებლად, ვერაგმა შაჰმა 1907 წელს 28 ოქტომბერს ფიცი მიიღო და იმავე წლის 31 დეკემბერს ხელ-ახლად შეჰფიცა ერთგულება კონსტიტუციას.

ხალხი და მეჯლისი მაინც უნდოდ უცქეროდნენ შაჰსა და მის კამარილიას და ურთიერთობა მათ შორის თან და თან მწვავდებოდა. 1908 წელს თებერვალში შაჰის მოკვლა განიზრახეს, ხოლო ამაზე უფრო წინ მოჰკლეს დიდი ვეზირი ემირ-ეს-სულთანი და განიზრახეს მოკვლა შაჰის მარჯვენა მკლავისა—რეაქციონერების მეთაურის ემირ-ჯენგ-ბაგადურისა...

აქვე უნდა მოვისმინოთ, რომ სწორედ ამ დროს მეჯლისმა დაადგინა, გარეშე სესხი ავიღოთ და ამ ფულით რამდენიმე კორპუსი მუდმივი ჯარი გავიჩინოთ და რკინის გზები გავიყვანოთო. ერთ მეზობელ სახელმწიფოს არ მოეწონა მეჯლისის ასეთი დადგენილება და მისი დიპლომატია მთელს თავის ძალით ამხედრდა მეჯლისის წინააღმდეგ.

1908 წლის მაისის გასულს მეჯლისმა გადაჭრით მოსთხოვა შაჰს რამდენისამე გავლენიან რეაქციონერის გადაყენება და ყაზახთა ბრიგადის უფროსების—რუს აფიცრების დათხოვნა. შაჰი თავის ოჯახით ყაზახების თანხლებით უცებ გადასახლდა თეირანიდან საზაფხულო აგარაკში—ბაღე შაჰში, გამაგრდა იქ და ასეთი პასუხი მისცა მეჯლისის დეპუტაციას: „ირანის ტახტი ხმლით მოიპოვეს ჩემმა წინაპრებმა და ამიტომ ამ ტახტს არავის დაუთმობ, სანამ იმავე მახვილის ძალას არ ვსცდიო“.

მამედ-ალი შაჰი თავის მეგობარ რეაქციონერების რჩევით შეუდგა კონტრ-რევოლიუციისა და მეჯლისის განადგურების თადარიგს. 1908 წელს 10 ივნისს შაჰმა ულტიმატუმი წარუდგინა მეჯლისს და რამდენისამე უკიდურეს დეპუტატის გაცემა მოითხოვა. რაღა თქმა უნდა, მეჯლისმა მტკიცე უარი შეუთვალა ამაზე შაჰსა. გაცოფებულმა შაჰმა ალყა შემოარტყა მეჯლისს და ყაზახთა ბრიგადამ, პოლკოვნიკ ლიახოვის ხელმძღვანელობით, ზარბაზნი დაუშინა და მთლად გაანადგურა მეჯლისი. ზარბაზანი ესროლეს აგრეთვე მეჯლისის გვერდზე მდებარე სეპეხსელარის მეჩითს და შაჰის ბიძის ზილი-სულთანის სასახლეს, სადაც კონსტიტუციონალისტები შეკრებილიყვნენ.

მეჯლისის განადგურების შემდეგ, შაჰმა მანიფესტით გამოუცხადა ხალხს, რომ იგი არ მოსპობს კონსტიტუციას და მეჯლისის განადგურება აუცილებელი იყო წესიერების დასამყარებლად. ამავე დროს შაჰმა უდივრად აწამებინა და დაახრჩვინა მრავალი გამოჩენილი სპარსელი მოღვაწე გამოჩენილ ორატორის მალიკასა და გაზ. „სურა-ისრავილ“-ის ტრაგიკულმა ბედმა მთელი განათლებული ქვეყნიერობა შეზარა. შაჰი მაინც დაჰპირდა ხალხსა, რომ სამის თვის შემდეგ ახალ არჩევანს მოვახდენთ და ახალ მეჯლისს მოვიწვევო.

რამდენიმე თვის შემდეგ შაჰმა აშკარად გამოიჩინა თავისი ნამდვილი განზრახვა. 1908 წელს ბაღე-შაჰის სასახლეში მიიწვიეს წარჩინებულ ბეგებისა, სამღვდელოებისა და ვაჭრების წარმომადგენლები, სხვა-და-სხვა მუქარით შეაშინეს და ხელი მოაწერინეს პეტიციაზე, რომელიც კონსტიტუციის მოსპობას თხოულობდა. შაჰმა ისარგებლა ამ „პეტიციით“ და გამოსცა თავისი განთქმული მანიფესტი, რომელშიაც გამოაცხადა: რადგან „მთელი ხალხი მთხოვს, რომ მეჯლისი აღარ შეიკრიბოსო“, მე აღარ მოვახდენ ახალ არჩევანსაო. მანიფესტში გადაჭრით იყო გამოცხადებული, რომ „პარლამენტი არა დროს აღარ იქნება შეკრებილიო“.

ამ ახირებულმა მანიფესტმა მთელი სპარსეთი გააკვირვა და ფეხზე დააყენა. მაგრამ სპარსეთის ხალხმა მეჯლისის განადგურების უმალვე დაიწყო მედგარი ბრძოლა ფიცის გამტეხ და სისხლის მსმელ შაჰის წინააღმდეგ. მთავრობამ ბევრგან ადვილად დათრგუნა კონსტიტუციონალისტების წინააღმდეგობა, მაგრამ იგი ვერას გახდა თავრიზელ რევოლიუციონერებთან, რომლებმაც განთქმულ სათარ-ხანის მეთაურობით თავგანწირული ბრძოლა დაიწყეს შაჰის წინააღმდეგ და თანაც გადაჭრით გამოაცხადეს, რომ შაჰს არ დავემორჩილებით, სანამ კონსტიტუცია არ იქნება აღდგენილიო. შაჰმა დიდძალი ჯარი გაგზავნა თავრიზის დასაპყრობად, მაგრამ ვერას გახდა სათარ-ხანთან, რომელმაც ბევრჯელ ძალზე დაამარცხა შაჰის ჯარი. თავრიზელ რევოლიუციონერების თავგანწირულმა ბრძოლამ და სახელოვანმა გამარჯვებამ მთელი სპარსეთი გაამხნევა, ალაფრთოვანა და 1908 წლის გასულს ძლიერი მოძრაობა დაიწყო მთელს სპარსეთში. 1909 წლის იანვარში გილანის რევოლიუციონერებმა ხელში საიგდეს დიდი ქალაქი რეშტი. ხოლო დაახლოვებით იმავე დროს კონსტიტუციის მომხრე ბახტიარებმა აიღეს მეორე დიდი ქალაქი ისპაჰანი სამხრეთ სპარსეთში. მას აქეთ განმათავისუფლებელი მოძრაობა სპარსეთში იმდენად გაძლიერდა, რომ წარსულ აპრილის გასულს შაჰი იძულებული იყო კონსტიტუცია აღედგინა. მაგრამ სპარსელმა რევოლიუციონერებმა არაფრად ჩააგდეს მამედ-ალი-შაჰის დაპირებამ თეირანზე გალაშქრება გადასწყვიტეს. ეს გალაშქრება სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა სამს ივლისს.

**რევოლიუციონერების სიმარდე.**

გაზეთები ქებით იხსენიებენ რევოლიუციონურ ჯარის სიმარდესა და სისწრაფეს. რევოლიუციონერებმა 1 ივლისს თურმე 27 ვერსი გაიარეს ქვეითად სამს საათში და მოულოდნელად დაეცნენ შაჰის ჯარსაო.

**ს ა თ ა რ-ხ ა ნ ი.**

დროებითმა მთავრობამ ადერბეიჯანის მთავარ-სარდლად დანიშნა სათარ-ხანი.

**თეირანელების სიხარული.**

თეირანელები დიდ სიხარულს მიეცნენ. სახლებზე გაშლილია წითელი ბაირაღები; ყველგან მიტინგები იმართება. ყველას მკლავზე წითელი რევოლიუციონური ნიშანი აქვს გაკეთებული. მეჯლისს დიდძალი ხალხი ახვევია გარსა. ყველგან ისმის სეპეხდარისა, სარდალ-ასადის და სათარ-ხანის ქება. ქებით იხსენიებენ აგრეთვე რევოლიუციონურ ჯარსაც.

5 ივლისს ჯარმა წითელი ბაირაღებით გაიარა სეპეხდარისა და სარდალ ასადის წინ, რომლებიც მეჯლისის ბაღში იდგნენ. რევოლიუციონერები დაუმეგობრდნენ სპარსელ ყაზახებს და მათთან ერთად სეირობენ. ბევრმა სპარსელმა აფიცერმა და ყაზახმა რევოლიუციონური ნიშნები გაიკეთა. თეირანში სრული სიწყნარეა. რევოლიუციონერები საშვალითო წესიერებას იცავენ.

**ახალ მთავრობის მოქმედება.**

დროებით მთავრობას განუწყვეტლივი თათბირი აქვს გამართული მეჯლისის შენობაში ახალ სამინისტროს შედგენის შესახებ.

ყველა სპარსელს, შაჰის მიერ საზღვარ გარედ განდევნილს, სპარსეთში დაბრუნების უფლება მიეცა.

თეირანის ახალმა პოლიცმეისტერმა ეფრემმა ასამდე დატუსაღებული გამოუშვა საპატიმროებიდან და მოსპო ის ბარბაროსული იარაღები, რომლებსაც ხმარობდნენ ტუსაღთა დასასჯელად.

ატუსაღებენ ძველის მთავრობის მომხრეებს, რომლებსაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ბრალდება. მოელიან სახედრო მინისტრად ნამყოფის ემირ-ბაგადურისა, თეირანის გუბერნატორად ნამყოფის, შაჰის დიდ მეგობრის—მოდელ-სულთანის და სხვა პირების დატუსაღებას.

**მაჰმედ-ალი-შაჰის ბედი.**

ტახტიდან ჩამოგდებულ მამედ-ალი-შაჰის გადასცემენ რუსის ჯარს ყაზვინში, ხოლო ყაზვინიდან რუსეთში წაიყვანენო.

**მოკლულ რევოლიუციონერების დასაფლავება**

6 ივლისს დიდის პატივით დაასაფლავეს თეირანის აღების დროს მოკლული რევოლიუციონერები.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან
8 ივლისი

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**სალონიკი**. ახალგაზრთა ოსმალოთა ადგილობრივმა კომიტეტმა პროკლამაცია გამოსცა. პროკლამაცია ეხება კუნძულ კრიტოსის საკითხს. პროკლამაციის შინაარსი მოკლედ შემდეგია: კუნძულ კრიტოსის ოთხმა—მფარველმა სახელმწიფომ გადასწყვიტა, ჯარი გაიყვანოს კუნძულიდან. მოსალოდნელია, რომ ჯარის გაყვანის შემდეგ კრიტოსის მთავრობა ეცდება მშვიდობიანობის დარღვევას. ამის თავიდან ასაცილებლად სალონიკში შეიკრიბნენ ოტომანები: ოსმალონი ბოლგარელნი, ალბანელნი, სერბები, ებრაელნი, სომხები, რუმინელნი და მფარველი სახელმწიფოების საყურადღებოდ შემდეგი დაადგინეს: 1. ოტომანები არავის ნებას არ მისცემენ, რომ ოტომანის იმპერიას კუნძული კრიტოსი გამოეყოს; 2. არც ლოღიკა, არც საღი გონება და არც საერთაშორისო უფლება არ გვიკარნახებს, რომ ოტომანის იმპერიას კრიტოსი მხოლოდ იმიტომ გამოეყოს, რომ ეს კრიტოსის მცხოვრებთა ერთ ნაწილსა სურს, ოტომანები თხოულობენ, რომ დაცულ იქმნას დამპყრობელთა უფლება; 3. თუ კრიტოსი საბერძნეთს შეუერთდება, მაშინ კუნძული დაჰკარგავს იმ კეთილდღეობას, რომელშიაც ეხლა იგი იმყოფება ფართო ავტონომიის წყალობით; 4. თუმცა ახალგაზრდა ოტომანები პრინციპიალური მოწინააღმდეგენი არიან სისხლის დღვრისა და მშვიდობიანობის დარღვევისა, მაგრამ ეს უკანასკნელნი, როგორც სხვა ერები, ეცდებიან დაიცვან თავიანთი თავმოყვარეობა და ეროვნული ღირსება და არავის ნებას არ მისციმენ, შეეხნენ მათ გრძნობებს; 5. ოტომანები თხოულობენ, რომ მათი სუვერენიტეტი კუნძულზე დამყარებულ იქნეს ლოღიკურსა და გონივრულ საფუძვლებზე და 6. მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოების ჯარის გაყვანის შემდეგ, კუნძულის მცხოვრების ერთი ნაწილი ოსმალებს დაეცეს. თუ ეს მოხდა, ოტომანები ყოველ ზომებს მიიღებენ, რომ დამნაშავენი დასაჯონ. დასასრულ ნათქვამია, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მფარველი სახელმწიფოები სერიოზულად მოეკიდებიან კრიტოსის საკითხსაო.

## საზღვარ-გარედ

**მელილია**. 5 ივლისის ბრძოლაში ესპანელებს მოუკლეს 15, დაუჭრეს 22 კაცი.

**ბელგრადი**. სერბიის „პრეს ბიურო“-ში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: პრესსა და საზოგადოება დიდის ყურადღებით ადევნებს თვალ ყურს ზაგრების პროცესს და კერძოდ სასამართლოს თავმჯდომარის პარაბოკის და პროკურორის აკურტის მოქმედებას. სერბიის მთავრობამ ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობას [illegible] მოქმედებაზე. მაგრამ [illegible] კურორმა სერბიის და მის მეფის შესახებ რაიმე ცილისწამება არ გამოსთქვან, ან მთავარ მოწმეს ნასტიჩს სხვა და სხვა ტენდენციოზური ამბები არ გაამეორებინონ. ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ ამ მოხელეების მოქმედებას, მაგრამ თუ გავიგეთ, რომ უმაღლესი ეს ავსტრო ჰუნგრეთის საქმეა, მაშინ უფლება გვექნება ავსტრო-ჰუნგრეთი საერთაშორისო სამედიატორო სამართალში გამოვიწვიოთ.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. ტორნი შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარს გლადსტონს შეეკითხა: იცით თუ არა, რომ კლოუ და მისი მიდამოები რუსეთის პოლიციის აგენტებით აივსო და თუ იცი, რა ზომები მიიღეთ, რომ ინგლისელები უზრუნველყოფილ იქმნენ მათგანაო. გლადსტონმა უპასუხა: ამის შესახებ არავითარი ცნობა არა მაქვს, თუ რუსეთის პოლიციის აგენტები არიან ინგლისში, მათ ვერ ავუკრძალავთ აქ ყოფნას, რადგან, როგორც სხვა უცხოელებს, მათაც უფლება აქვთ ინგლისში ყოფნისა. როდესაც მეფეები სხვა სახელმწიფოებში მიდიან, ზოგიერთ შემთხვევაში მათ თავიანთი პოლიცია იცავს. ინგლისელებს არავითარი შიში არ მოელით რუსეთის პოლიციის აგენტებისაგან. მე არა მგონია, რაიმე ზომები იყოს საჭიროო.

**პეკინი**. რადგან ჩინეთის მთავრობას აზრად აქვს, ხანკოუ-კანტონის და სიჩუანის რკინის გზების ასაშენებლად უცხოელებისაგან სესხი აიღოს და უკვე მოლაპარაკებაც აქვს უცხოელების ბანკებთან, რუსეთის ელჩმა ჩინეთის მთავრობას შეატყობინა, რომ რუსეთსა სურს, რკინის გზების აშენებაში რუსეთის კაპიტალისტებმაც მიიღონ მონაწილეობაო.

**პარიზი**. დეპუტატთა პალატამ ხმის უმრავლესობით (212 ხმით წინააღმდეგ 176 ხმისა) უარჰყო მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომლითაც მთავრობას ნდობა უნდა გამოსცხადებოდა. სამინისტრომ ქაღალდი შეიტანა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

**ბერნი**. დაიწყო მეშვიდე საერთაშორისო სოციოლოგიური კონგრესი.

## რ უ ს ე თ ი

**პენზა**. ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი ბუტლეროვი, მემარჯვენე.

# შეთანხმების იმედი

## 1903 წლიდან 1909 წლამდე.

2.[*])

ასეთი იყო ავტონომისტურ მოძრაობის პირველი ნაბიჯი. საქმე საზღვარ-გარეთ დაიწყო და პირველ ორის წლის განმავლობაში ამ საგნის შესახებ ლაპარაკი პოლიტიკურ პირობების გამო, შეუძლებელი იყო თვით საქართველოში. და რაკი ქართველთა ეროვნულ მოძრაობის გამომხატველი ორგანო სამშობლოს გარეთ იყო, ამ მოძრაობის მოწინააღმდეგეებმაც თავდაპირველად საზღვარ-გარეთ იწყეს ლაპარაკი და წერა „საქართველოს“ ეროვნულ პროგრამის შემდეგ.

იმ ხანებში საზღვარ-გარედ მოხდა სრულიად რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის მეორე კრება. ამ კრებაზე ბევრი ლაპარაკი იყო ეროვნულ საკითხის შესახებ. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები აქ ბუნდისტებთან ერთად ოპპოზიციას შეადგენდნენ. მათი ეროვნული მისწრაფება გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე კრების უმრავლესობის სურვილი იყო. და რაკი ამ სურვილს შეეჯახნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, დაემორჩილნენ მას და უკუ აგდეს მანდატები, რომლებითაც იყვნენ აღჭურვილნი. აქედან, ამ კრებიდან იწყება, ცენტრალისტურ მიდრეკილების ზრდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბანაკში. მოვიგონოთ ეს ამბავი უფრო წვრილებით.

ქართველ რევოლიუციონერთა ხსენებულ კონფერენციაზე ვერშიცანიძემ ფრიად საყურადღებო მოხსენება წაიკითხა ამ საგნის შესახებ. მოვიყვანოთ იგი ზოგიერთის შემოკლებით.

სოციალ-დემოკრატიულ მეორე კრების ოქმების მე-170 გვერდზე ვკითხულობთ: „განსახილველია მუხლი მესამე კომისიის პროექტისა: § 3) ფართო ადგილობრივი და საოლქო (областное) თვითმართველობა“.

**ლენინი** წინააღმდეგია სიტყვა „საოლქოს“-ი (областное): შეიძლება ეს სიტყვა ბევრნაირად აიხსნას: იქნება ვისმე დაებადოს აზრი, ვითომ ს.-დ—ია სახელმწიფოს დანაწილების მომხრე იყოს.

**ლიბერი** (ბუნდის დელეგატი) თხოულობს დაცულ იქმნას სიტყვა „საოლქო“, რადგანაც ადგილობრივი თვითმართველობა—თვითმართველობაა სოფელთა და ქალაქთა, ოლქი (область) კი ამ უკანასკნელთა კავშირია.

**მარტოვი**. ...ჩვენ არ შეგვიძლიან გავხდეთ მომხრენი თავისუფალ კომუნების თავისუფალ კავშირისა და დავიცვათ ეს შეხედულობა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის სივრცეს და ჩვენის ცენტრ. მმართველობის გამოცდილებას, უნდა აღვიაროთ, საოლქო თვითმართველობა აუცილებელ საჭიროებად იმისთანა პროვინციათათვის, როგორნიც არიან ფინლიანდია, პოლონეთი, ლიტვა და კავკასია. ამიტომ მარტოვი თხოულობს შეასწოროს მესამე მუხლი ამრიგად: „ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, საოლქო თვითმართველობა იმისთანა განაპირა ქვეყნებისათვის, რომელნიც ადგილობრივ პირობებით განირჩევიან „შიდა რუსეთისაგან“.

მიაქციეთ ყურადღება. ს.-დ. მარტოვი ფინლიანდიასაც, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში დაჰკარგა თავისი ავტონომია, ანიჭებს მხოლოდ საოლქო თვითმმართველობას; ამაზე შორს არც რუსეთის მთავრობა წასულა. განვაგრძოთ ოქმის განხილვა:

**კოსტროვი** (კავკასიელი) მხარს უჭერს მარტოვს და ჰფიქრობს, რომ პროგრამაში ამ მუხლის შეტანას დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ექნება და პარტიას ბევრ მომხრეებს მოუპოვებსო. ბევრგან და ამასთან ჩვენში, კავკასიაშიაც, იდეა „საოლქო“ თვითმართველობისა ძალიანაა გავრცელებულიო.

**კარსკი** (კავკასიელია) ჰფიქრობს, რომ დიდად საჭიროა შეტანა ამ მუხლისა, რადგანაც ზოგიერთი ქვეყნები დიდად განირჩევიან რუსეთისაგან ზნე-ჩვეულებებით და მთელის ცხოვრების წყობილებით და შეუძლიანთ განვითარება მხოლოდ **ავტონომიის** შემწეობითო.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება აქ ნახმარ სიტყვას „ავტონომია“.

**რუსოვი** (კავკასიელი). სრულიად ვეთანხმები მარტოვის წინადადებას—შეტანილ იქმნას მუხლი საოლქო თვითმართველობის შესახებ... პოლონელი ამხანაგები თხოულობენ პოლონეთისათვის ავტონომიას და თავიანთ მოთხოვნილებას იმით ასაბუთებენ, რომ პოლონეთის კულტურულ ზრდისათვის ეს აუცილებლად საჭიროაო. **მაშ მათ ეს მუხლი სრულებით დააკმაყოფილებს.**[1]) იგივე მუხლი იქნება საუკეთესო პასუხად იმ ნაციონალისტების მიმართ, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ განაპირა ქვეყანათა საკითხი ასე ვერ გადასწყდება, თუ არა სრულის მათის განკერძოებით. დასასრულ, ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება მოგვცემს იარაღს საბრძოლველად იმისთანა ნაციონალურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, როგორცაა, მაგალითად, ორგანო „საქართველო“. ეს ორგანო თხოულობს საქართველოს ნაციონალურ ავტონომიას, როგორც აუცილებელ საჭიროებას მის კულტურულ ზრდისათვის და სცდილობს შეაერთოს ყველა კლასები ერთ ნაციონალურ დროშის ქვეშ. ერთხელ კიდევ განმარტება ჩვენ მიერ იმისი, რომ ნაციონალურ კულტურის ზრდისთვის აუცილებელ პირობების შექმნა სრულიად არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს, იმითია კარგი, რომ სამუდამოდ დააშორებს მუშებს იმგვარ ელემენტებს, როგორიც „საქართველოა“...

სიტყვა ბ-ნ რუსოვისა საინტერესოა ბევრის მხრივ. დავეხსნათ იმას, რომ „საქართველოს“ შესახებ იცრუა,—როცა ბრძანა ნაციონალურ დროშის ქვეშ უნდა შეაერთოს ყველა კლასებიო. აქ უფრო საინტერესო ისაა, თუ რა რიგად ესმის მას სიტყვა „საოლქო თვითმართველობა“: „საქართველოს“ მიერ დაფრთხალს დელეგატს აჰრევია და областное самоуправленіе იმგვარივე ავტონომიად მოსჩვენებია, რაგვარ ავტონომიასაც ქადაგებს „საქართველო“. ეს ღირსია იმისი, რომ იყოს აღნიშნული.

საგულისხმო ცნობებია აგრეთვე ენის თანასწორუფლიანობის შესახებ (გვ. 172—173).

**ტროცკი** თხოულობს კენჭი უყარონ, სასურველია თუ არა ცალკე პუნქტი ენათა თანასწორ-უფლებიანობის შესახებ.

უყრიან კენჭს ამ წინადადებას; 25 თანახმაა, 23 წინააღმდეგი. შემდეგ უყრიან კენჭს ოქმებში შეტანილ შესწორებათ.

1) შესწორება (поправка) ლიბერისა—„იყოს ცალკე მუხლი ენის შესახებ“—არ იქნება შეწყნარებული (17 თანახმაა 23 წინააღმდეგი).

2) ლენსკის შესწორება—„მიენიჭოს ყველა მოქალაქეს ილაპარაკოს სამშობლო ენაზე ყველგან: სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში—უკუგდებულ იქმნა დიდის უმრავლესობით.

3) ეგოროვის—„თანასწორობა ყველა ენებისა, რომელიც არ უარ-ჰყოფს სახელმწიფო ენას (თანახმაა 21, წინააღმდეგი 24). უყრიან კენჭს ხელ-მეორედ—თანახმაა 24, წინააღმდეგი 26. უკუგდებულია.

4) კოსტროვის შესწორება: „თანასწორობა ენებისა ყველა სკოლებსა, დაწესებულებებსა და კრებებზე“,—თანახმაა 24, წინააღმდეგია 24. როცა დასახელებით უყარეს კენჭი, კოსტროვის წინადადება მიღებულ იქმნა 24 ხმით წინააღმდეგ 23-სა.

აქ ყურადღება მიაქციეთ ხმების განაწილებას! ამისთანა მარტივი და მასთანავე განაპირა ქვეყნებისთვის მწვავე საკითხი გადასწყდა მხოლოდ **ერთის ხმის უმეტესობით**...

მე-17 სხდომაზე კონგრესი ხელმეორედ დაუბრუნდა მეშვიდე მუხლს (ენის შესახებ)...

**ლენინი** იძლევა წინადადებას ხელ-მეორედ გადაეცეს ეს მუხლი კომისიას და თუ აქაც ვერ გადასწყდა, გადასდონ ეს საკითხი მეორე კონგრესამდის.

**პლეხანოვი**: ენის შესახებ საკითხი გადადებულ იქმნეს მეორე კონგრესამდე. მისის აზრით, ეს კითხვა ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული და თხოულობს განმარტებას პარტიულ პრესსაში.

**კარსკი** (კავკასიელი): შეურაცხყოფილად სთვლის პლეხანოვის წინადადებას. ნუ თუ იმისთანა მწვავე საკითხი, როგორიც ენაა, უჯროვო საკითხად უნდა ითვლებოდეს? ნუ თუ კონგრესს არ შეუძლიან გადასწყვიტოს იგი?

**პოპოვი** თხოულობს ხელმეორედ უყაროს კენჭი მთელ მუხლს.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა 28 ხმით. უყარეს ხელმეორედ კენჭი მთელ მუხლს ბ. კოსტროვის დამატებით და მთელი მუხლი უკუგდებულ იქმნა 25 ხმით წინააღმდეგ 24-ისა...

... თქვენ ხედავთ, თუ რამდენად გამწვავდა საკითხი? ერთის მხრივ, ლენინი, პლეხანოვი, მარტოვი, ცროცკი და მათთან ერთად 20 კაცი სულ იმის ცდაში არიან, თუ რანაირად მოუღონ ბოლო ენის თანასწორობის საკითხს, და როცა ბუნდის და კავკასიელ დელეგატების მხრივ ენერგიულ წინააღმდეგობას ჰხედავდნენ, სცდილობდნენ რამენაირად გააჭიანურონ საქმე და მოღალონ მოწინააღმდეგენი... ისტორიაში ჩასაწერი არ არის განა ის ფაქტი, რომ ბ-ნთ ლენინსა და პლეხანოვის პირით სოც.-დემოკრატებს არამც და არამც არ უნდათ რუსეთში გარდა რუსულისა სხვა ენა იყოს ოფიციალურად ხმარებაში,. ახლა ვნახოთ, თუ რა ქნა კომისიამ. ამ საკითხის გადაწყვეტას მან ორი დღე ნახევარი მოანდომა, ბოლოს გადაწყვიტა..., მიემატოს ახალი მუხლი: „მიეცეს ნება ხალხს მიიღოს განათლება დედა-ენაზე, მიეცეს უფლება ილაპარაკოს თავისუფლად სამშობლო ენაზე კრებებზე, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში“. ამანაც გამოიწვია კამათი, აქ მხოლოდ აღვნიშნავ ბ. კარსკის (კავკასიელ) სიტყვის ნაწილს.

**კარსკი**. საჭიროა იყოს ნაჩვენები, რომ სამსაჯულოებში—**უმდაბლესებში, მაინც**—შემოღებულ იქმნას ხმარებაში სამშობლო ენა.

ეს ის კარსკია, რომელიც არწმუნებდა კონგრესს, რომ განაპირა ქვეყნების სრულ კულტურულ განვითარებისათვის საჭიროა ავტონომიაო. ეხლა კი ბ-ნი კარსკი კმაყოფილდება სამშობლო ენით სამსაჯულოებში და ისიც უმდაბლესებში[2])...

სიტყვა გაგვიგრძელდა სოციალ-დემოკრატების შესახებ. მაგრამ ამ ფაქტიურ ცნობების მოგონება უმნიშვნელო არ არის. ამ 5—6 წლის

[*]) იხ. „დროება“, N 149.

[1]) ხაზი ჩვენია

[2]) „ოქმები“—გვ. 221—232.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს ალექსანდრე ნეიდგარდტი.

**კალუგა.** სადღაც გაიქცა ვოლოსოვდუდინსკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი. განყოფილების უფროსმა თან წაიღო 4,500 მანეთი.

**ნოვოჩერკასკი.** სადგურ კამიშევკას თავს დაეცა ხუთი შეიარაღებული კაცი. მათ ცალკე ოთახში დაამწყვდიეს სადგურის მოსამსახურეები და უფროსი, რის შემდეგ გატეხეს კასა, წაიღეს 790 მანეთი და გაიქცნენ.

**ხარბინი.** გაიფიცნენ რუსი და ჩინელი ვაჭრები, მათ შორის სასმელ-საჭმლის ვაჭრები. გაფიცულები ბაზარში ვაჭრობდნენ. ქალაქის თვითმართველობას ქირის დაკლება სთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ამას გარდა თხოულობდნენ, რომ ნედოიმკების ძალით აღების წესები შესცვალეთო. ეს არის გაფიცვის მიზეზი. ქალაქის თვითმართველობამ გააღო ოთხი ხორცის დუქანი

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 82, გარდაიცვალა 36, ავად არის 845 კაცი.

სამოსამართლო პალატამ გაარჩია მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის აბრამოვის საქმე. აბრამოვს აბრალებდნენ წიგნაკ „ლეტოპის ვოინ"-ის გამოცემას, რომელშიაც ადმინისტრაციამ ხელმწიფე იმპერატორის შეურაცყოფა დაინახა. სასამართლომ აბრამოვს ციხე გადაუწყვიტა ორი წლით და ორი თვით.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **განთავისუფლება ხელმწიფის ბრძანებით.** გუშინ დიდად სასიხარულო ამბავი მოუვიდათ სომხებს პეტერბურგიდან, როგორც ვწერდით, ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და დაბა სოფლებში ამ ბოლო დროს დიდ-ძალი სომხობა დააპატიმრეს. დააპატიმრეს ბევრი საზოგადო მოღვაწე: მწერალი, ვექილი და ვაჭარი. ყველა ესენი პასუხის გებაში მისცეს. აბრალებდნენ „დაშნაკციუტიუნის" პარტიის წევრობას და მთავრობის საწინააღმდეგოდ მოქმედებას. ნამესტნიკს პეტერბურგში წასვლამდე შუამდგომლობანი წარუდგინეს ერევნისა, გუმბრისა, განჯისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა და სთხოვეს დაპატიმრებულ მოღვაწეთა განთავისუფლება. ეხლა პეტერბურგიდან დეპეშა მოვიდა ტფილისში. იტყობინებიან, რომ ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანების თანახმად, სრულიად მოისპობა საქმეები ამ პირთა პასუხის გებაში მიცემის შესახებ. პეტერბურგიდან დეპეშა უკვე გამოუგზავნიათ ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლის გენ. შატილოვისათვის.

✦ **ახირებული თხოვნა.** ამ დღეებში ველიამინოვის ქუჩაზე მცხოვრებმა აირუმოვმა უცნაური განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში აირუმოვის სამ სართულიანი სახლი დარჩა ტფ. საკრედიტო საზოგადოებას. ამ სახლის შეძენა სურს ქალაქის გამგეობას. აირუმოვმა სთხოვა გამგეობას, დაუთმოს მას 5 წლით (წელიწადში 1000 მან.) ის ბინა, სადაც იგი სცხოვრობს ეხლა. თუ ბინას ჩემეულ სახლში არ მომაქირავებთ, ისეთი შემწეობა მაინც მომეცით ქალაქის კასიდან, რომ რაიმე საქმე დავიწყო და თავი შევინახოო. ასეთ ახირებულ თხოვნაზე ქალაქის გამგეობამ უარით უპასუხა აირუმოვს.

✦ **სეირნობა და წარმოდგენა.** დღეს, 9 ივლისს, თავად-აზნაურთა თეატრის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა იმ ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელთაც წელს ქართული გიმნაზია გაათავეს. ქართველ არტისტების მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენაც. ბოლოს იქნება მეტად საინტერესო დივერტისმენტი.

✦ **ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო.** რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები: სიღნაღი: „ქარმა სასტიკმა მოსტეხა ცხოვრების ნორჩი ყვავილი. ჯგუფი ქიზიყელებისა ვსტირით და ვგლოვობთ ძვირფას მებრძოლის და მასწავლებლის ადრე დაკარგვას". ხარკოვი: „მეხივით დაგვეცა მოულოდნელი ამბავი — ძვირფასს მასწავლებლის ვლადიმირის უდროოდ დაკარგვა. სამძიმარი ქვრივს და რედაქციას. ლომთათიძე".

✦ **კატორგა.** შარშან სექტემბერში გორის მაზრაში მოჰკლეს მეთაური ყ. ჩალთა ბრბოსი რაზმაძე, რომელიც დუშეთის მაზრაში მოქმედებდა. ბრბოს წევრნი შეიპყრეს და სამართალში მისცეს. სამხედრო სასამართლომ ექვსი წლის კატორგა მიუსაჯა ნიკო და მიტრო კეკელაშვილებს, ა. ხომუზირსა და რ. ხერხელს. გაამართლეს კობაური, გოგიჩაშვილი, გუჩაშვილი და ტაპუნაშვილი.

✦ **დარაჯების დაჯარიმება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ავჭალის წყლის მილის აუზის დარაჯების საქმე. დარაჯები აუზს არ ასუფთავებენ თურმე და ამის გამო წყალი უვარგისი მოდიოდა ქალაქში. დარაჯები დაჯარიმებულ იქმნენ ხუთ-ხუთი მანეთით.

✦ **სტიპენდიები.** მირზოევის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის უფლება ანდერძით დავალებული აქვს მოანდერძეს ქვრივს. ამიტომ სტიპენდიის მიღების მსურველებმა უნდა მიმართონ თხოვნით მირზოევისას. შეიძლება თხოვნები ქალაქის გამგეობაშიაც იქნას შეტანილი.

✦ **უსუფთაობა.** 6 ივლისს პოლიციის მე-3 ნაწილის ბოქაული და ექიმი შავერდოვი შეუდგნენ სანიტარულის მხრივ ბაგრატიონისა, მუხრანსკისა, ანჩისხატისა და პუშკინის ქუჩების სახლებისა და დუქანსარდაფების დათვალიერებას. დანდუროვის სახლის ეზო ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქუბულოვისა და აკოფოვის საკალბასო დუქნებში კალბას ღია ადგილზე ამზადებდნენ და იქვე სამ ფუთამდე სრულიად გაფუჭებული ხორცი ეყარა. ყველა ამათ ოქმები შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

✦ **თავის მოკვლა.** 7 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე ახალციხის მცხოვრებმა ვლადისლავ ბენედიქტოვიჩმა რევოლვერით თავი მოიკლა.

✦ **გაფუჭებული თევზი.** განსაკუთრებულმა სასანიტარო კომისიამ დიდუბეში დაათვალიერა ხეიზელის თევზის საწყობი. საწყობში დიდძალი აყროლებული და გამოუსადეგარი თევზი აღმოაჩნდა. ნავთი გადაასხეს და დასწვეს 600 ფუთი ტარანი. მეთევზეს ოქმი შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

✦**განთავისუფლება.** 1908 წელს 7 მაისს ავლაბრის სომეხთა კაშირ ავეტარანის ეკლესიაში შეიკრიბა რაღაც საქმეზე რამდენიმე კაცი. პოლიციამ გაიგო ეს ამბავი და ყველა სომეხი დააპატიმრა. დაპატიმრებულთაგან 22 კაცი დღემდე მეტეხის ციხეში იყო დამწყვდეული. გუშინწინ ყველანი განთავისუფლეს.

✦ **უპასპორტოები.** გაჩხრეკის დროს ალექსანდრეს ბაღში დააპატიმრეს 22 უპასპორტო კაცი.

✦ ივლისს, ხარფუხის ქუჩაზე მცხოვრებმა აბულაძემ შოდიცის განუცხადა, რომ ჩემი 14 წლის ქალი მარიამ აბულაძე ყაზახის მაზრის მცხოვრებმა ასკერ უული-ოღლიმ მომტაცაო. გამოძიებით გამოირკვა, რომ მარიამ აბულაძე თავის ნებით გაჰყოლია ასკერს.

✦ 7 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, სათევზ პირდაპირ ბანაობის დროს მტკვარში ჩავარდა და დაიხრჩო არუთინ ვუკუიკიანცი დამხვრჩალის გვამი ვერ იპოვნეს.

✦ ქალაქის საქიმიო ლაბარატორიის გამგე ბ-ნი ალიბეგოვი სამსახურიდან ორი თვით იქმნა განთავისუფლებული. მისი თანამდებობის აღსრულება დაევალა თანაშემწეს ბ. ამბარძუნოვს.

✦ რადგან ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ქალაქს შეიძინოს ტფ. საკრედიტო საზოგადოებისაგან ველიამინოვის ქუჩაზე აირუმოვისეული სახლი, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სახლის შეძენის საქმე მიენდოს გამგნობის წევრს თ. ალ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

✦ 7 ივლისს, საღამოს 6 საათზე კიროჩნი და ველიკოკნიაჟესკი ქუჩების კუთხეში ივანე სვანიშვილის სახლის პირდაპირ გასკდა ქალაქის წყლის მილი. ქვაფენილი და ქუჩის ერთი ნაწილი ჩაწვა. წყალი შევარდა ქუჩიდან ეფრემ ავპატელოვის სახლის სარდაფში.

# მოწერილი ამბები

**ხელთუბანი.** (ქართლი). ბევრი ვაება და მწარე დღეები გამოიარა ჩვენმა სოფლებმა, მაგრამ ისეთ გულ გატეხილობას და სასოწარკვეთილებას, როგორიც ქართლშია, მგონი სხვაგან ვერსად ვერ შეჰხვდებით. მე მომიხდა ამ დღეებში ყოფნა სოფელ ხელთუბანში (გორიდან 6 ვერსის მანძილზეა) და ჩემ შთაბეჭდილებას გადმოგცემთ.

დიდი, დიდი ხანია წერა-კითხვის საზოგადოებას ჰქონდა აქ სკოლა. მოძრაობის დროს ამ სკოლაში დაბანაკდნენ ყაზახები და მას აქეთ, მეექვსე წელიწადი მიდის, სკოლა გაუქმებულია და შენობა, რომელიც ღირდა ორას თუმანზე მეტი, განადგურებული. სოფელი ხელთ უბანი და იმის გარშემო სხვა ხუთი სოფელი, რომლებიც ინახავდნენ ამ სკოლას, განთავისუფლდნენ ამ ხარჯისაგან. თუ ეს სოფლები არ ივისრებენ ხელ ახლა ფულის გაღებას, რასაკვირველია, ნებით და არა ძალით, სკოლის აღდგენა წერა-კითხვის საზოგადოებას გაუჭირდება. ამიტომაც საჭირო იყო სოფლის გარემოების შეტყობა.

ხელთუბანს ათ სოფელთან ერთად ჰყავს მთავრობის მამასახლისი, რომლის შესანახად და სხვა ხარჯების გასწევად თითო კომლი იხდის ოთხ მანეთამდის. ამ მამასახლისის „სტახტი" სოფელი გახლავთ კარალეთი. სადაც მღვდელი, თავადი და ცემისაგან დაშინებული გლეხობა უნდა იახლოს ხოლმე სათაყვანებლად. ნუკენიათ, რომ თვითეულ მოწყალების თვალი მთავრობის თავის ქვეშევრდომებს, ყარაულებს და ხშირ-ხშირად არ ინახულოს ხოლმე ისინი. ვაი იმისა ბრალი, ვისაც მუშაობით დაღალულს წაუთვლემს ან ზეზე ვერ დაუხვდება ჯარიმება, ცემა-ტყეპა... ამათ ქურდებიც რომ წარუდგინონ, ვინახში დაჭერილი ორთითით, — მაინც ქურდი რადაც მანქანებით განთავისუფლდება ხოლმე და მომჩივანი კი კარგად მიიტყეპება. ამბობენ, ერთ გლეხს შეუდგინეს განაჩენი, რომ გაეძევებინათ სოფლიდან ქურდობისთვის და ლდაკაცების გაუპატიურებისთვის ეს განაჩენი მომრიგებელ-შუამავლისაგანაც იყო დამტკიცებული, მაგრამ ეს გლეხის ბიჭი აქამდის ჰპარპაშებს სოფელში. მართალია ამ ორი წლის წინად ხალხს ამოარჩევინეს მამასახლისი, მაგრამ მთავრობის მიერ დაყენებული კაცი მკვიდრად ზის თავის ადგილზე.

ამბობენ.... მაგრამ ყველაფერი რომ მართალი იყოს, გლეხმა ქვა უნდა მოიაბას კისერზე და წყალში ჩავარდეს... მაგრამ წყლის მაგივრად ღვინოში ჩავარდება... სვამს ღვინოს და სვამს— სხვა არა დარჩენიარა.

აბა, ამათ რა ესკოლებათ! „კიდევ უნდა გავიღოთ ფული? ვერა, ვერ შევეცდენთ, არ გვინდა. ნუ იწყენთ ბატონო, ხარჯს ვერ გაუძლებთ. რა დროს სკოლის შენობის შეკეთებაა, კარადეოში ბოსლი ავაშენეთ, სტრაჟნიკებისთვის, კანცელარია გვაქვს შესანახი... ამოდენა ხანი გქონდა სკოლა და განა თავი ავცდინეთ ამ ცემატყეპას, ამ სიღატაკეს და ვაებას!"

მათი ხვედრი მუშაობაა, ცემა-ტყეპის ატანა და ღვინის სმა! თავზარდაცემული გამოვბრუნდი. განა ამავე მდგომარეობაში არ არის ყველა ჩვენი დაბა-სოფელი. **ან. ჭ.**

—

**სურამი.** 4 თიბათვეს ადგილობრივი ბარკი არა ჩვეულებრივ კოხტად გამოიყურებოდა. შესავალში დუდუკი გაჰკიოდა. ჩვეულებრივად ცხვირ-ჩამოშვებული ბარკი გაჩირაღდნებული იყო. ერთის სიტყვით გარეგანი მოკაზმულობა ადამიანის თვალს იტყუებდა და საბაბს იძლეოდა გვეფიქრა, რომ იმავ დღეს დანიშნული წარმოდგენა შინაარსით და აღსრულებით ღირსსაცნაურებრივი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ადგილებისთვის მეტად დიდი ფასები დაედოთ. ბარკის ღირსსაცნაურებრივმა სახემ, ტფილელ მსახიობთა—შალიკაშვილის, ჯავახიშვილის, ჩერქეზიშვილის მონაწილეობამ და იმ გარემოებამ, რომ ამ დრეს გამართული წარმოდგენა ბარველი იყო ამ ზაფხულს, გასჭრა და თეატრს მრავალი საზოგადოება მიაწყდა. მაგრამ იმედი არ გამართლდა. აფიშებში ოთხი თითო მოქმედებიანი პიესა იყო გამოცხადებული: ორი ქართული, ერთი სომხური, ერთიც რუსული. სომხებმა წარმოდგენის მახლობელ დღეს უარი განაცხადეს, ქართული ერთი გამოაკლეს, ისე რომ ბოლოს ქართული და რუსული დარჩა. რუსული პიესა მეტად დახავსებული გამოდგა. ჯანი გავარდეს უშინაარსობას, მისი მოსმენა რომ მაინც ყოფილიყო შესაძლებელი: კარების ჭრაჭა-ჭრუჭი, ბავშვების წივილ-კივილი და ხმაურება სამშობიარო სახლს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე თეატრს.

როგორც იყო, ვაი-ვაგლახით ანდერძი აუგეს რუსულ პიესას. საგრძნობელ ყასის გადამხდელი საზოგადოება გაცქეროდა განცვიფრებით სცენას იმ იმედით, ეგებ ქართულმა მაინც აგრძნობინა მცირე სიამოვნება. აიხადა ფარდა და... მოქმედ პირთა ნაცვლად გიდაც უცნობის მომცინარე სახე იჭყიტებოდა... რის ვაი-ვაგლახით, ხელების ქნევით თუ მიმიკით ანიშნეს სცენიდან გასვლა. ასე, რაკი პროვინციაა, ყველაფერი შეიძლებაო, ალბად ფიქრობენ. უცნობის გაცლების შემდეგ დაიწყეს „დარისპანის გასაჭირი". შალიკაშვილი, ჩერქეზიშვილი ალბად იმ რწმენით, რომ პროვინციალურ სცენაზე თამაშობდნენ, თავს ძალას არ ატანდნენ და გულგრილად [illegible] დგებოდნენ როლებს. როგორც ყოველთვის, [illegible] და სარკასტიკ [illegible] პიესამ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

დასასრულ გამართეს დივერტისმენტი, წაიკითხეს ორიოდე ლექსი ულაზათოდ, სხაპასხუპით. მხოლოდ ქ-ნმა შალიბაშვილისამ გრძნობით წაიკითხა რუსული ლექსი.

არ შეიძლება არ გაიკიცხოს ის საშუალებანი, რომლითაც სარგებლობენ წარმოდგენის გამმართველნი. გარეგან კოპწიაობის ქვეშ შინაარსის სიღარიბე იფარება. როდესაც წარმოდგენა იმართება, ქონებრივ ინტერესების გარდა, გონებრივი და ესტეტიური სარგებლობაც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, თორემ უსამართლობაა ორ და სამ მანეთის გადახდა ერთ მოქმედებიან პიესის მოსასმენად.

**ნაღველ-სიმწარე.**

—

**სოფ. არალი** (ახალც. მაზრ.) ახალციხე-აბასთუმნის შუა გზაზე (13 ვერსზე), ქვაბლიანის წყლის გაღმა, შეფერდებაზე მდებარეობს ს. არალი. 85 კომლიანი არალი ისე უხვად დაუჯილდოვებია ბუნებას ჰავა-წყლით, სახნავსათესით, ტყით და მთა-ბარით, რომ სწორი სოფელი ნაკლებად არის ჩვენს მხარეში. რასაკვირველია, მკვიდრნიც შეძლებულნი არიან და კმაყოფილნი თავიანთ ბედისა. ამათი ნაკლი სწავლაგაუნათლებლობაა. თუმცა 4 ვერსზე, სოფ. უდეში, აქვთ დიდი ხნიდან დაარსებული სამინისტრო ერთკლასიანი სასწავლებელი, მაგრამ დღემდე ვერ ისარგებლეს სიშორისა გამო.

28 ივნისს, კ. გ—ძის ინიციატივით, მოხდა სასოფლო კრება. ინიციატორმა აუხსნა სოფელს სკოლის მნიშვნელობა და ურჩია საკუთარი სკოლა გაეხსნათ. იყვნენ მოწინააღმდეგენი, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა სურვილი განაცხადა. განაჩენს 60 კაცმა მოაწერა ხელი. დაადგინეს, სთხოვონ მე 3 რაიონის ინსპექტორს, იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა გაუხსნან მთავრობის ხარჯით ჯერ-ჯერობით ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა. თვითონ იკისრეს საწვავ-სანათის და სკოლის მოსამსახურის ხარჯი. ახალ შენობის ასაგებად ერთი დესეტინა მიწა აღუთქვა სოფელს ახალციხელმა მემამულემ, კერძო ვექილმა ლ. ს. ივირაღმშვილმა. მანამდი კი სწავლა საეკლესიო-სამრევლო სკოლის შენობაში მოეწყობა, სადაც 60-მდე ბავშვი მოთავსდება.

არალის საუკეთესო მამული „მეშურნეთი", რომელიც აბასთუმნის გზატკეცილზე, წყლის პირად მდებარეობს ეკუთვნის ცნობილ მსხვილ მემამულეს ფეზულბეგ ათაბაგის ქვრივს, თითქმის მთელი ქვაბლიანის მესაკუთრეს, რომელიც არლელებს დღას მეხუთედს ართმევდა. რადგან ცოტაობდა, მოინდომა მესამედისა და ნახევრის აღება და კარგა ხანია იჩივლა კიდეც. სამოსამართლოდ გადასწყვიტა, მემამულემ მ[illegible] მეტი აიღოს „მეშურნეთის" მამულზე.

არლელები დიდად ესაყვედურებიან უდის საზოგადოების სულის მოძღვრებს, რომლებიც უხვად უმასპინძლდებიან ქალაქიდან მოსულ სტუმრებს, მეტადრე საერობო დარაჯთ და სხვათაც, უმართავენ სადილებს, თვითონაც მათთან მიდიან და შეექცევიან შემწვარ ქათმებს და ღვინოს და შემდეგ ამ ხარჯს ერთი ორად საზოგადოებას ახდევინებენ. საჭიროა, ვისაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ასეთ სიბოროტეს.

უდის მასწავლებელი ივანე ბარიკალაშვილი, ოცი წელიწადია, რაც უდის სასწავლებელში მუშაობს (სულ კი 25 წელიწადია, რაც მასწავლებლად არის). როგორც გავიგე, ახალციხისა და უდის ახალგაზრდობას აზრადა აქვს შემოდგომაზე აღნიშნოს ბარკალაშვილის 25 წლის მოღვაწეობა. დღესასწაული უნდა მოეწყოს ახალციხეში და შემდეგ უდეში თვე და რიცხვი არ არის ჯერ დანიშნული.

მოსავალი ჭირნახულისა კარგია ჩვენსკენ. ბალები-კი გაფუჭდა.

**ქ. გვარამაძე.**

განმავლობაში სწორედ ამ ხასიათის ატმოსფერაში მოუხდათ მოქმედება, ცხოვრება და სუნთქვა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვინც ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებას ყურადღებას აქცევდა, იმისთვის აშკარაა, რომ მეორე კონგრესამდე ისინი გაცილებით უფრო გაბედულნი და პირდაპირნი იყვნენ რუსეთის დეცენტრალიზაციის საკითხის გადაწყვეტაში. ადგილობრივ ორგანიზაციებში ამიერ-კავკასიის ავტონომია პარლამენტით ტფილისში ხშირად იყო ხოლმე სალაპარაკო საგანი. სრულიად სოც.-დემოკრატთა მეორე კონგრესმა ფრთები შეუკვეცა ჩვენებურ „დასელებს" და პარტიულ მთლიანობის დაცვის გულისათვის იმათ შეიწყნარეს გაცილებით უფრო ვიწრო პროგრამა, ვიდრე თვითონ ალიარებდნენ. ამ დროიდან ისინი ისე თის თავგამოდებით იცავენ ცენტრალიზმს, რომ ამ თავგამოდებით გადაცილეს ყოველივე ზომას და აზრს, კონგრესის წინად, კი როგორც ვსთქვით, ამგვარ შეუწყნარებლობას არ იჩენდნენ. გაზეთი „საქართველო" ქართველ სოც.-დემოკრატთა ზოგიერთს ლიდერს პირველ ხანაში საძრახ და სათაკილო ორგანოდ არ მიაჩნდა, ერთმა გავლენიანმა ქართველმა მარქსისტმა წერილებიც კი დასტამბა ხსენებულ გაზეთში „მუშათა მოძრაობა საქართველოში", რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს" მეხუთე და მეექვსე ნომერში. ამ წერილებში, სხვათა შორის სწერია: „კავშირმა"[3]) შეიმუშავა თავისი პროგრამა, პროგრამის პოლიტიკურ განყოფილებაში შეტანილია ამიერკავკასიის ავტონომია, პარლამენტით ტფილისში. ამ პროგრამას წარუდგენს სრულიად რუსეთის ს-დემ. მუშ. პარტ. კონგრესს განსახილველადაო[4]). მართალია, ამიერკავკასიის ავტონომია საქართველოს ავტონომია არ არის, მაგრამ აქ საგულისხმო ის არის, რომ აღიარებულია პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის პრინციპი. საქართველოს ავტონომიის აღიარებამდე აქედან ერთი ნაბიჯია. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატიის ერთმა ნაწილმა უკვე გადასდგა ეს ნაბიჯი, მეორე ნაწილი კი ყოყმანშია და თავის თეორეთიკოსების პირით დღეს ლაპარაკობს საქართველოს თვით-მმართველ ცალკე ერთეულის დაარსების საჭიროებაზე. ყველა ამას ქვემოდ გავსინჯავთ. ახლა კი ისევ საზღვარგარედ გადავიდეთ. აშკარაა, სოციალ-დემოკრატთა მეორე კონგრესმა ძირიანად შესცვალა (დროებით) ქართველ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური აზროვნება.

ამითი აიხსნება ის შეუწყნარებელი იერიში, რომლითაც მივიდნენ ისინი ჯერ „საქართველოს", მერე კი „ცნობის ფურცლის" და მის გამოცემათა წინააღმდეგ. ფრონტის გამოცვლის შემდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატიის ბელადის ბ-ნ ა-ნის მიერ დაწერილ და ჟენევაში გამოცემულ წიგნაკში „ქართველი ნაციონალისტები", „საქართველოს" მესვეურნი და თანამგრძნობნი ბოროტ-განზრახველებად არიან გამოყვანილნი. წიგნაკში ვკითხულობთ: „საქართველოელები ვერ ჰბედავენ პირდაპირ სთქვან—ჩვენ ბატონნი და თქვენ მსახურნიო. არა, მათ ხერხს მიჰმართეს, ერის უფლებები ფარად იშველიეს და გაიძახიან: ჩვენ რა, ჩვენ მხოლოდ ერის ინტერესები გვალაპარაკებსო".[5]) ავტონომიის წამოყენების საჭიროების საკითხი განმარტებული იყო, როგორც საშუალება კლასიურ ბატონობის გამტკიცებისა. ავტონომია ქართველ ბურჟუაზიის ესაჭიროება, რადგან ნაციონალისტი ჩვენში მხოლოდ ბურჟუაზია არის, ჰფიქრობდა მაშინ ბროშიურის ავტორი ბ-ნი ანი. ჩვენ ვნახავთ, რომ 4—5 წლის შემდეგ ბ-ნი ანი სულ სხვას დაიწყობს მტკიცებას, სახელდობრ, იმას, რომ ჩვენში ყველა კლასები ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დგანან. მაგრამ იმ ხანაში ლოზუნგად ქცეული აზრი ის იყო, რომ ავტონომისტობა და ბურჟუობა ერთი და იგივეაო. ამიტომ სიციალისტებმა არამც და არამც არ უნდა შეიწყნარონ იგი. არ უნდა შეიწყნარონ კიდევ იმიტომ, რომ ავტონომიზმი და ფედერალიზმი იგივე გადაცმული ფეოდალიზმია. „ქართველი ნაციონალისტების" ავტორი ამბობს „საქართველოს" ფედერალისტურ პრინციპების შესახებ: „გაზეთმა ჩვენს (სოციალდემოკრატების) პროგრამას ფეოდალის თვალით შეხედა და ძველი წესის მოთრფიალედ გამოვიდა, ორგანიზაციაც ფეოდალის საწყისზე უნდა გაეტანა, იმ ფეოდალის, რომელიც თავის სოფელში და კოშკში იყო გამაგრებული და დანარჩენ ქვეყნის ინტერესებს არ დაგიდევდა. ასეთი „ფეოდალური პარტიკულარიზმით „საქართველო" გვიქადის ჩვენის პარტიულ ძალების ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხას, მათ განცალკევებას და მით პარტიის „გაფეოდალობასაო".[6]) ამ ტრაგიკულ ტირადის გაგონებაზე უნებლიეთ ტუჩებზე ღიმილი გებადებოდათ. „საქართველომაც" ერთ თავის გამოცემაში ღიმილითვე უპასუხა ფეოდალიზმის დაბრუნების აჩრდილით დამფრთხალ სოციალ-დემოკრატს. სავალალო ის არის, რომ ფედერალისმის პრინციპს ზოგჯერ სოციალისტიც არ უარჰყოფს. აგერ ფედერალისტური ორგანიზაციების აღიარებდნენ წინეთ კომუნარები, დღეს სინდიკალისტები, წარმოიდგინეთ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაც კი. „ყველა ეს ხალხი, აშკარაა, ფეოდალიზმის აღდგენას და პროლეტარიატის „დაჩეხვას" და „გაფეოდალებას„ ჰლამობდა! კომუნარებს კიდევ ჯანი გაჰვარდეთ, მათ „სამეცნიერო სოციალიზმისა" არ ესმოდათ რა. თქვენ ისა ბრძანეთ, ავსტრიელებს რა ღმერთი გაუწყრათ, ესენი ხომ მარქსის სკოლაში არიან აღზრდილნი და მაინც საშუალო საუკუნის პარტიკულარიზმს დაუბრუნდნენ. ძალნოცისანო, ნუ თუ არ გადაარჩენთ ავსტრიელ პარტიას „ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხვისაგან, ნუ თუ ისევ უნდა აშენდეს მთაგორებზე „კოშკები", საიდანაც სოციალ-დემოკრატი რაინდები (ჰოი სირცხვილო) იფარფაშებენ,[7]) და გზაზე გამვლელ-გამომვლელს შეაწუხებენ.

აი დასაწყისი იმ დრამისა, რომელსაც შეიძლება სახელად დაერქვას „წამება ავტონომიისა" და რომლის პირველი მოქმედება პარიზსა და ჟენევაში სწარმოებდა. ამ დრამის მეორე მოქმედება გადატანილ იქმნა საქართველოში, როდესაც 1905 წელს მის დოგმას წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს. და ჩვენც საქართველოსკენ მივაპყარით თვალები და ვეცადოთ ავსხნათ და წავიკითხოთ ის, რაც თქმული და გაკეთებულა ავტონომიის შესახებ ჩვენს სამშობლოში.

**არჩილ ჯორჯაძე.**

[3]) კავკასიის სოც.-დემოკრატ. ორგანიზაცია.

[4]) „საქართველო" N 6.

[5]) „ქართველი ნაციონალისტები„ გვ. 48.

[6]) ibid. გვ. 46.

[7]) «აი კრიტიკა». „საქართველოს" გამოცემა, N 1. 1903 წ. პარიზი.

# ოსმალეთი

**კანონ-პროექტი მუშების შესახებ.** ოსმალეთის პარლამენტმა მეორედ გაარჩია კანონ-პროექტი მუშათა გაფიცვების შესახებ და დადგინა, რომ მუშებს უფლება ჰქონდეთ სინდიკატების დაარსებისაო.

**ბერძნები და ოსმალები.**

იანინისა და მონასტირის ვილაეთებში ოსმალეთის ჯარს შეტაკება მოსდის ბერძენთა რაზმებთან. ოსმალელი მოხელეები საყოველთაოდ ჩხრეკენ ბერძნებს, იარაღს ეძებენ.

**ხამხედრო მინისტრის ბრძანება.**

სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ თესალიისთვის ჯარისთვის (საბერძნეთის საზღვარზე დგას) 3 ათასი ცხენი და 1 ათასი ფურგუნი იყიდონ.

# რუსეთი

✦ **იუშკევიჩ-კრასკოვსკი.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრს იუშკევიჩ-კრასკოვსკის პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორისთვის ვრცელი წერილი გაუგზავნია. იუშკევიჩ-კრასკოვსკი „კავშირის" სხვა და სხვა „საქმეებს" აქვეყნებს და ამბობს რომ გერცენშტეინის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. მართალია, სწერს იუშკევიჩ-კრასკოვსკი, „კავშირის" ზოგიერთ „საქმეებში" მეც მიღებდი მონაწილეობას, მაგრამ ეხლა ვნანობ და მაპატიეთო.

✦ **ლოპუხინი.** პოლიციის ყოფილ დირექტორ ლოპუხინს ამ დღეებში გაგზავნიან სოფელ უგუმენში, ტობოლის გუბერნიაში.

✦ **ახალი უნივერსიტეტი.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „მემარჯვენე გაზეთების სიტყვით, მთავრობას განზრახული აქვს პოლტავაში უნივერსიტეტი დაარსოს.

✦ **იოლოსის მკვლელი ფედოროვი.** რუსეთის გაზეთებს პარიზიდან ატყობინებენ: „იოლოსის მკვლელი მუშა ფედოროვი სადღაც გაიქცა. ფედოროვს განუცხადებია, მე მაშინ დავბრუნდები, როდესაც საფრანგეთი და რუსეთი ჩემს შესახებ შეთანხმდებიან და ეს შეთანხმება ჩემთვის სასარგებლო იქნებაო. იოლოსის მკვლელობის შესახებ ამ დღეებში ჩვენება ჩამოართვეს ფედოროვის დედას და მუშათა დეპუტატების საბჭოს ყოფილ წევრს პეტროვსო".

✦ **დისციპლინალურ ბატალიონში.** 26 ივნისს სოფელ მედვედევში (ნოვგოროდის გუბერნია), დისციპლინარულ ბატალიონში ერთი სალდათისთვის 50-ჯერ როზგის დარტყმა გადაუწყვეტიათ. სასჯელის გადახდას დაესწრებია აფიცრები კოვალევსკი. დამნაშავეს უთხოვნია ნუ შემკრავთ ისე მცემეთო. კოვალევსკის ნება დაურთავს და სალდათისთვის „ყოჩაღი" უწოდებია. დაუწყვიათ ცემა- სალდათი უცბად წამომხტარა, უძვრია დანა, მივარდნია მორიგ სალდათს და რამდენჯერმე დაურტყამს დანა. ამის შემდეგ სალდათი მივარდნია კოვალევსკის და დაუწყია დანით ცემა. სხვა სალდათები ჯერ დაბნეულან და შემდეგ თოფები უსროლიათ დამნაშავესთვის. სალდათს სამი ტყვია მოჰხვედრია, მას თავის მოკვლა განუზრახავს, მაგრამ ნება არ მიუციათ. კოვალევსკი იქვე გარდაცვლილა. მორიგი სალდათი მძიმედ ყოფილა დაჭრილი. დამნაშავე სალდათი საავადმყოფოში მოუთავსებიათ.

(რეჩი).

✦ **სიონისტები.** შინაგან საქმეთა მინისტრს კიევის გუბერნატორისთვის მიუწერია, ყოველნაირი ზომები მიიღეთ, რომ კიევის გუბერნიაში სიონისტებმა ორგანიზაციები არ დაარსონო.

✦ **იოანნიტების თავშესაფრები.** რამდენიმე ხნის წინად ჩვენ ცნობა გვქონდა, რომ პოლიციამ პეტერბურგში აღმოაჩინა იოანნიტების (ასე ეძახის იოანნე კრონშტანტელის მიმდევრებს) უტკანის თავშესაფარიო. ბავშვები აქ სულ ავადმყოფები აღმოჩნდნენ. როგორც გაზეთი „რეჩი" იუწყება, პოლიციას პეტერბურგში ოთხი ასეთი თავშესაფარი აღმოუჩენია. პოლიციას ამ თავშესაფრებიდან ბავშვები წაუყვანია და სხვაგან მოუთავსებია. ბავშვები სულ ავად ყოფილან, უმთავრესად მუნით და მუწუკებით, თავშესაფარების პატრონების სიტყვით კი ბავშვები მუნით კი არ არიან ავად, არამედ მათი ტანი ბრილიანტებით არის დაფარული და სხვა. ბავშვები ამას გარდა ცოტა ჭკუაზედ შეშლილები აღმოჩენილან. როდესაც ბავშვები ეკლესიაში წაუსხამთ, მათ ყვირილი დაუწყვიათ, გვიშველეთ, ეშმაკები გვიტაცებენო და სხვა. თავშესაფარების პატრონებს სისხლის სამართალში აძლევენ.

✦ **უფას ერობა და მასწავლებელთა კურსები.** „რეჩს" უფიდან დეპეშით ატყობინებენ: 25 ივნისს უნდა გახსნილიყო ერობის პირველ-დაწყებით სასწავლებლების დროებითი კურსები. კურსები ერობამ მოაწყო. შეიკრიბა 300 მასწავლებელი. პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ლექტორები ჩამოვიდნენ. სრულიად მოულოდნელად მიიღეს განკარგულება, რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, წინააღმდეგია კურსების გახსნისაო. კურსების ორგანიზატორებმა მიმართეს გუბერნატორს, გუბერნატორმა უარი განაცხადა. მიმართეს მინისტრს, მისგანაც უარი მიიღეს. დაღონებული მასწავლებლები სახლებში წავიდნენ. ერობამ რამდენიმე ათასი მანეთი დახარჯა კურსების მოსაწყობად და ამოდენა ხარჯმა ტყუილად უბრალოდ ჩაიარა.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: რეველში 1, ტფილისში 1, ხარკოვში 2, მოსკოვში 2, პეტერბურგში 1, უფაში 1, ეკატერინოსლავში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: რიგაში 1, პეტერბურგში 2, ხარკოვში 1, მოგილევში 1, სამარინში 1, ვარშავაში 1 კაცი.

✦ **არა-ლეგალურ ლიტერატურის საწყობი.** „გოლოს მოსკვი"-ს სიტყვით 3 ივლისს მოსკოვში პოლიციას სააქციონერო საზოგადოების ერთ საწყობში აღმოუჩენია არა-ლეგალური ლიტერატურა. საწყობი გაუქირავებია უცნობ პირს. როდესაც დამქირავებელს საქონელი მოუტანია, იგი კარგა ხანი აღარ გამოჩენილა. პოლიციას ეჭვი აუღია და გაუჩხრეკია მისი საწყობი. საწყობში აღმოჩენილა ორი ათასი ფუთი ლიტერატურა.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—123

## კანტორა და საწყობი „სპერმატინისა" და „ალმეჟისა"

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან. ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—ნ.—21) ი. ახობაძე


## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეშ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) სააგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის— სააგარაკო N 76 ა, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). სააგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


◀ ს ი კ ვ დ ი ლ ი ▶

## ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—4)

## იყიდება სასმელის დუქანი

თამარის ქუჩაზე (მე-9 ნაწილი), № 19. მ. ლაპარაკება დუქნის პატრონთან. (6—331—2)




Швейныя машины „Кайзеръ"

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—ნ—52)

●●● !!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!! ●●●

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს —




## СПЕРМИНЪ ПРОФ. ДОКТОРА ПЕЛЯ



✦✦ SPERMINUM POEH ✦✦

და მოითხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია **პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოტერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთულ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ჭარების, გულის ავადმყოფობის** (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

**ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.**

**სპერმინ-პელ სა** იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასხურებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წ. გნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ" (მეორე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები, ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

**ორგანოტერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი**

◀ **პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა** ▶

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Pris) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(5—მეტ.—1) 78775.—Л, и Э. Метцль и Ко.

## მომავალი 1910 წლის კედლის კალენდარი „განთიადი"

**ამ ცოტა ხანში დაიწყება ბეჭდვა და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდათ**

კალენდარი, როგორც ქვემო დაბეჭდილ ნიმუშიდან სჩანს, დიდი ზომისა იქნება და ეღირება თითო **40** კაპ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25% დაკლებით.

რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენია საჭირო კალენდრის დაბეჭდვა, ამისთვის ვთხოვთ წიგნის მაღაზიებს და გამყიდველებს ამა წლის 20 ივლისამდე გვაცნობონ ყველამ, ვის რამდენი ცალი დასჭირდება. ამასთანავე უნდა წარმოადგინონ ბეღ რაოდენობის მიხედვით 25%, რათა ტყუილად არ დაგვირჩეს დაბეჭდილი.

ადრესი: ტფილისი, რუსის ქუჩა, N 3. სტამბა „სინათლე", კედლის კალენდარის „განთიადისთვის".


**თიბათვე (30 დღე)—ივანობისთვე**

**მზე:** ამოდის 4 საათ. 20 წთ. ჩადის 7 საათ. 35 წთ.

# 10

**მთვარე:** დილის 5 ს. 10 წთ. სრულდება 16 დღისა.

**ახალი სტილით 23**

162 დღე წლის თავიდან. რჩება 204 დღე წლის დამლევამდე

## ხუთშაბათი

**მართლ-მად.** წმ. მღვდელ-მოწამისა ტიმოთე პრუსელ ეპისკოპოსისა.

**კათოლიკეთა.** წმ. მარგალიტასი, ფილიტატისა და ამალიასი.

**გრიგორ.** მარხვა. წმ თეოდორე გალათელისა.

უახლოესი უქმე (გარდა კვირისა) სამშაბათი, 29 ივნისი.

● ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობა ●

მუშათა აჯანყება პარიზში 1848 წ.

გაიხსნა ტფილის-ფოთის რკინის გზა 1872 წ.

რუსეთის ბაზრებში მონების ადამიანების ყიდვა-გაყიდვა 1808 წ.

მაჰმა დაარქვია სპარსეთის მეჯლისი 1908 წ.

ლოძის დიდი გაფიცვა და ბარიკადების გამართვა 1905 წ.

### პატარა სტატისტიკა

უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ 1902 წ. გამოქვეყნებულ ანგარიშიდანა ვტყობულობთ, რომ რუსეთში თეთრი სამღვდელო ბა ყოფილა: დეკანოზი 2,340, მღვდელი—44,487, მთავარ-დიაკვანი—14,960, მედავითნე—43,552, სულ 105,000 სული. შავი სამღვდელოება: ბერი 8,455, ამათი მორჩილი 6,601, მონაზონი 10,963. ამათი მორჩილი 32,029, სულ 58,000 პირი. საერთოდ ორივე 660,000 სულს უდრის.

მთელ რუსეთში 49,703 ეკკლესიაა, ამაში 500 ბერების მონასტერია და 302 მონოზნების. 1902 წ. სასულიერო სამართველოს შეიცავდა 66 ეპარქია, რომელსაც განაგებს 3 მიტროპოლიტი, 14 მთავარ-ეპისკოპოსი და 50 ეპისკოპოსი.

1905 წ. რუსეთის საეკკლესიო ქონებას შეადგენდა 1,872,000 დესეტინა მიწას, რომელზედაც გაშენებულია მრავალი ქარხნები, წისქვილები, სათევზოები და სხვა. აგრეთვე აქვს 1200-მდე ქვითკირის სახლი. ნაღდ ფულადაც აქვს რამდენიმე მილიონი. ამ ქონების შემოსავლიდან და ყულაბებიდან მოქუჩებული ფული მარტო 1902 წ. 42 მილიონამდე ავიდა. ამას გარდა ხაზინიდანაც ეძლევა ყოველ წლიურად, არა ნაკლებს ოცი მილიონისა.

ზემოხსენებულ შემოსავლიდან ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიის იღუმენს წელიწადში ეძლევა 1,800 მან. ამ მონასტრის წლიურ შემოსავლიდანაც სარგებლობს. ეკონომს ეძლევა 20,000 მან., მოსკოვის მიტროპოლიტს წლიური ჯამაგირი აქვს 6000 მან., საჭმელ-სასმელისა 4000 მ., არქიელების სახლის შემოსავლიდან 8000 მ., საკვირველ მონასტრიდან 6000 მ., სერგიევის სულის წმიდის მონასტრიდან 12,000 მ., სულ წელიწადში 84,000 მ. შემოსავალი აქვს. პეტერბურგის მიტროპოლიტი იღებს წელიწადში 5000 მან. ჯამაგირს, სასმელ-საჭმელისას—4000 მ., ნევის ლავრიდან—250,000 მ., სულ წელიწადში 259,000 მ. კიევის მიტროპოლიტი იღებს წელიწადში 5,000, საჭმელ-სასმელისას—4,000 მ., საარქიელო სახლიდან—10,000 მ., პეჩორის ლავრიდან—65,000 მ., სულ წლიურად 84,000 მ. ყაზანისა და ვლადიმერის მთავარ-ეპისკოპოსებს წელიწადში ეძლევათ თითოს 10,000 მან.




## პროვოდნიკის







1897 წ. 1908 წ. 1888

## ამხანაგობა რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**
**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**
**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**
**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**
**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**
**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**
**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**
**საშლელი რეზინი „სპილოს" მარკისას**

## ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.